

სპორტსმენტა კომისიის განცხადება ტოკიოს ოლიმპიური თამაშების გადავადების შესახებ



სეოკ -ის სპორტსმენტა კომისიის წევრები მხარს ვუჭერთ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის გადაწყვეტილებას ტოკიოს ოლიმპიური თამაშების ერთი წლით გადავადების შესახებ.

მსოფლიოში შექმნილი რთული ვითარების გათვალისწინებით, ეს იყო სწორი და დროული ნაბიჯი, რომელიც, პირველ რიგში, გადადგმულია სწორედ სპორტსმენტა უსაფრთხოებისთვის. ამით დასრულდა ერთგვარი გაურკვევლობის პერიოდი, როცა არ გვექონდა პასუხი ძირითად კითხვაზე, არ ვიცოდით, რა ბედი ეწეოდა ოლიმპიურ თამაშებს – ყველაზე მნიშვნელოვან, თითოეული ჩვენგანისთვის საოცნებო შეჯიბრებას, რომლისთვისაც ვემზადებოდით მთელი ჩვენი სპორტული კარიერის განმავლობაში.

დღეისათვის მთავარი ამბავი გარკვეულია – ოლიმპიური თამაშები აუცილებლად ჩატარდება და ეს მოხდება გაისად, არაუგვიანეს ბაფხურისა. როგორც კი ამის საშუალება მოგვეცემა, მთელი ძალით და შემართებით უნდა გავაგრძელოთ ვარჯიში უკვე სპორტულ დარბაზებში და მოედნებზე, ვეცადოთ მაქსიმალურად გამოვიყენოთ ეს ახალი შესაძლებლობა, რათა უფრო მეტი ოლიმპიური რიცენზია მოვიპოვოთ, შემდეგ კი წარმატებით გამოვიდეთ ტოკიოში.

ჩვენ გვჯერა, რომ საქართველო, მთელ მსოფლიოსთან ერთად, დაძღვეს

ამ უპრეცედენტო კრიზისს და დაუბრუნდება ცხოვრების ჩვეულ რიტმს, მათ შორის – სპორტის სფეროში. ჩვენ დიდად ვაფასებთ ჯანდაცვის ორგანიზაციების, ჩვენი მამაცი ექიმების და მთელი სამედიცინო პერსონალის გმირულ თავდადებას კორონავირუსთან ბრძოლაში.

ჩვენ ასევე ვაცნობიერებთ, რომ ბევრი რამ არის დამოკიდებული თითოეული ჩვენგანის კეთილგონიერებაზე და მაღარ სამოქალაქო პასუხისმგებლობაზე. მოგიწოდებთ, ბედმიწევნით დავიცვათ დღეს მოქმედი საგანგებო რეგულაციები და მოთხოვნები, პიროვნური მაგარი მივცეთ ჩვენს ახადგაზრდებს და მთელ საზოგადოებას.

გისურვებთ მტკიცე ჯანმრთელობას, სიმხნევეს და ოპტიმიზმს.

სეოკ-ის სპორტსმენტა კომისიის წევრების სახელით –

ვარდამ დიპარტედიანი (კომისიის თავმჯდომარე).